საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაშიძეები

აბაშიძეები, ფეოდალური საგვარეულოები იმერეთში, ქართლში, კახეთსა და აჭარაში. პირველი დოკუმენტური ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ XV ს. II ნახევარს ეკუთვნის. ა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ იმერეთის სამეფოში. XV–XVI სს. მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა ა-ის სათავადო (იხ. აბაშიძეთა სათავადო). ამ გვარის წარმომადგენლებს ეკავათ ამირეჯიბის, სახლთუხუცესის, ციხისთავისა და სხვ. მაღალი თანამდებობები. აბაშიძე გიორგი-მალაქია 1701–07 იმერეთის სამეფოს უგვირგვინო მეფე იყო. 1774 ერეკლე II-მ თავის სიმამრს ზაალ აბაშიძესა და მის შვილებს კახეთში დაუმკვიდრა ყმა-მამული. კახეთის ა. მათგან მომდინარეობენ. იმერელი ა-ის განაყოფები არიან ქართლის ა-ც. XVIII ს. I ნახევარში იმერელი აზნაურები ა. ბათუმის მხარესა და ქვემო აჭარაში ჩასახლდნენ, გამაჰმადიანდნენ და ოსმალეთის მთავრობისგან სანჯაყ-ბეგობა მიიღეს, აქტიურად მონაწილეობდნენ იმერეთის აჯანყებაში 1819–20.

ლიტ. იხ. სტ-თან აბაშიძეთა სათავადო.

ო. სოსელია